ფრცქვილა

სურათებიანი დამაგვება

დამატების № 2. ქვირა, 9 აპრილი, 1906 წ. ბაზეთის № 5.

* * *

ნუ მომაგონებ, ტურფავ, წარსულსა,
ნუ აატოკებ იმ გრძნობით გულსა:
მე ვუფრთხილდები ჩემს სიყვარულსა,
ის დაეკონა სხვა გულის წყლულსა!

—

ჩემი სატრფოა აწ ქარიშხალი,
ზღვა აგზნებული, ზღვა ბობოქარი,
ხალხის გულიდან ამოვარდნილი
ჭექა-ქუხილი და ნიავ-ღვარი!

—

მე იმას მივდევ, მედგარ ფრთიანსა,
მას ვუკრავ ჩონგურს, იმისთვის მღერი,
ჩემი სატრფოა დილის ცისკარი
და განთიადი პირ-მშვენიერი!

—

ნუ მომაგონებ, ტურფავ, წარსულსა,
ნუ აატოკებ იმ გრძნობით გულსა,
გადავეხვიე მე სულ სხვა წყლულსა
და მას შევსწირავ ჩემს სიყვარულსა!

ი. ეგდოშვილი

ზღაპარი წყლის შესახებ

ე. ბელლამისა.

ოდესღაც, დავიწყებულ დროში, იყო ერთი გამშრალი უწყლო ქვეყანა. ხალხი ძალზე შეწუხებული იყო. დილიდან საღამომდე სულ იმას სცდილობდნენ, რომ როგორმე აღმოეჩინათ წყალი. ბევრმა გადასდო ამ საქმისთვის თავი და ბევრი დაიღუპა კიდეც.

ზოგიერთნი, უფრო გაბედულნი და გამოცდილნი, აღმოაჩენდნენ ხოლმე პატარა წყაროებს, რომელიც სხვებს ძილშიაც არ მოესიზმრებოდათ. ესენი დიდის მეცადინეობით თავს უყრიდნენ და ინახავდნენ ბევრ წყალს. სახელად ამათ კაპიტალისტები დაარქვეს.

მოხდა ისე, რომ ამ ქვეყნის დანარჩენი მცხოვრებნი მივიდნენ კაპიტალისტებთან და მოწიწებით წყალი სთხოვეს. ძალიან უჭირდათ და სხვა გზა არა ჰქონდათ. მაგრამ კაპიტალისტებმა უპასუხეს:

— რა სულელური თხოვნაა! თქვენ გინდათ ის წყალი მიიღოთ, რომელიც ჩვენ შეეგროვეთ?! ჩვენც ხომ თქვენსავით გაპირვებაში ჩავვარდებით! ჩვენც ხომ თქვენთან ერთად დავიხოცებით! აი, რას გეტყვით: გახდით ჩვენ მსახურებად და წყალს მიიღებთ...

ხალხმა უპასუხა:

— წყალი მოგვეცით და ჩვენ, ჩვენის ცოლ-შვილით, თქვენი მსახურები ვიქნებით.

ასეც მოხდა.

კაპიტალისტები წინდახედული და დროს შესაფერად მცოდნე ხალხი იყო. მათ თავიანთი მსახურნი რაზმებად დაჰყვეს. ამ რაზმებს უფროსობდნენ კაპიტნები და აფიცრები. ესენი კი ზოგს წყაროდან წყალს აზიდინებდნენ, ზოგს სხვაგან ატანინებდნენ, ზოგს კიდევ ახალ წყაროებს აძებნინებდნენ. წყალი სულ ერთ ადგილას დააგუბეს. მერე კაპიტალისტებმა ააშენეს დიდი აუზი და იქ მოათავსეს წყალი. ამ აუზს ბაზარი უწოდეს, რადგანაც მთე-



ბრძოლაში.— სურათი გროტგერისა.

თ. ც. ს.-ის ტ ფ ლ ი ს ბიბლიოთეკა

შიმშილი. — სურათი ბ. ბროტგერისა.

ლი ხალხი და თვით კაპიტალისტების მსახურნიც იქ მიდიოდნენ წყლის სასყიდად.

კაპიტალისტებმა უთხრეს ხალხს: ყოველს თითო ჩაფ წყალში, რომელსაც თქვენ მოიტანთ ჩვენის აუზისთვის, მიიღებთ თითო ფულს; ხოლო თითო ჩაფ წყალში, რომელსაც ჩვენ ამოვიღებთ აქედან თქვენთვის და თქვენის ცოლ-შვილისათვის, მოგვეცით ორ-ორი ფული. ეს განსხვავება ჩვენი მოგება იქნება. უამისოდ სისულელე იქნება ჩვენი მეცადინეობა. ჩვენ ქვეყნისთვის სიმდიდრე შევქმენით და თუ ამაზე ხელს ავიღებთ, ყველანი დაიხოცებით.

ხალხმა ეს კანონიერად მიიჩნია, ვინაიდან მაშინ სუსტი შეგნება ჰქონდა.

დიდხანს და დიდის ერთგულებით ეზიდებოდა ხალხი წყალს, ავსებდა აუზს და ყოველ ჩაფ წყალში იღებდა ერთ ფულს. კაპიტალისტები კი თითო ჩაფ წყალში, რომელსაც ხალხს აძლევდნენ, იღებდნენ ორ-ორ ფულს.

გავიდა დრო. აუზი, რომელიც ბაზრად ითვლებოდა, აივსო, რადგან ხალხი თითო მიტანილ ჩაფში იღებდა იმდენ ფულს, რამდენიც მხოლოდ ნახევარ ჩაფის სასყიდლად ეყოფოდა.

რადგან ყოველ ჩაფიდან ზედ-მეტი წყალი რჩებოდა და რადგან ხალხი გაცილებით მეტი იყო კაპიტალისტებზე, რომელთაც არ შეეძლოთ სხვებზე მეტი წყალი დაელიათ, — აუზი აივსო და წყალი ნაპირს გადმოვიდა.

როდესაც კაპიტალისტებმა ესა ნახეს, ხალხს უთხრეს:

— ნუ თუ ვერა ხედავთ, რომ წყალი გადმოდის აუზიდან? დაისვენეთ და ნუღარ მოიტანთ წყალს, სანამ აუზს წყალი არ დაეკლდება.

ამ ბრძანების შემდეგ ხალხი აღარ იღებდა კაპიტალისტებისაგან ფულს წყალში და თითონაც აღარ შეეძლო წყალის შეძენა, რადგან არავითარი სხვა სახსარი არა ჰქონდა.

როდესაც კაპიტალისტებმა დაინახეს, რომ ვაჭრობის შეწყვეტის გამო მოგება მოაკლდათ, ძალიან აღელდნენ. ყველა მხარეს კაცები გაგზავნეს რომელნიც გზებზე და ჯვარედინებზე ჰყვაროდნენ:

— ხალხო და ჯამაათო! ვისაც წყურვილი აწუხებს, ჩვენის აუზიდან იყიდოს წყალი, რადგან იგი სავსეა...

ამავე დროს ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: „ცუდი დრო დაგვიდგა: ჩვენ საქონელს ჩვენვე ვაჩეჩებთ ხელში ძალად“.

მაგრამ ხალხმა უპასუხა:

— რით ღა ვიყიდოთ თქვენი წყალი, როდესაც სამუშაოს აღარ გვაძლევთ? ხომ იცით, რომ ჩვენ სხვა სახსარი არა გვაქვს-რა. დაგვიქირავეთ ძველებურად და ჩვენც დიდის სიამოვნებით ვიყიდით თქვენ-ან წყალს, ვინაიდან წყურვილი გვახჩობს. თქვენთვისაც საჭირო აღარ იქნება კაცების აქეთ-იქით გაგზავნა.

კაპიტალისტებმა მიუგეს ხალხს:

— რად უნდა დაგიქირავოთ წყლის საზიდავად, როდესაც აუზი მთლად სავსეა? ჯერ უნდა გაიყიდოს წყალი, და თუ თქვენ იმდენს იყიდით, რომ აუზი დაიცალოს, მაშინ კვლავ მოგცეთ სამუშაოს.

ამ რიგად კაპიტალისტები აღარ აძლევდნენ სამუშაოს, ხალხი კი ვეღარა ყიდულობდა წყალს. მაშინ ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა: „ეს კრიზისი დადგაო“.

ხალხი იტანჯებოდა წყურვილით. გაჭირა უწინდელი წეს-წყობილება, როდესაც ქვეყანა ყველას ეკუთვნოდა.

რათა ხალხი იძულებულ ეყოთ, წყალი ეყიდათ, კაპიტალისტებმა ხელთ ჩაიგდეს ყველა წყარო, ჭები, წყლის საქაჩავები, ჩაფები, ასე რომ წყალს, თუ არა აუზიდან, სხვაგან ვერსად იშოვიდა ადამიანი.

ხალხმა საყვედური დაუწყო კაპიტალისტებს:

— ხედავთ, აუზი სავსეა წყლით, ჩვენ კი წყურვილით ვირჩობით. მოგვეცით წყალი, ასე ხომ ამოვწყდებით?!.

მაგრამ კაპიტალისტები თავისას არ იშლიდნენ:

— არა, წყალი ჩვენია. უფულოთ წყალს ვერ დალევთ!..

და ეს გადაწყვეტილება განამტკიცეს ფიცით: „საქმე საქმედ უნდა დარჩესო.“

მიუხედავად ამისა, კაპიტალისტთა უკმაყოფილებაც არ სცხრებოდა, რადგან ხალხი აღარ ყიდულობდა წყალს და

ადამიანები თუ მხეცები? — სურ. გროტგერისა.

უსპობდა მოგებას. კაპიტალისტები განცვიფრებით ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ასე გამოდის, რომ ჩვენმა მოგებამ მოგვისპო მოგება?! ისევ ჩვენ მკითხავებს მივმართოთ, მათ აგვიხსნან ეს ამოცანა.

გაგზავნეს კაცები მკითხავებთან.

მკითხავები დიდი მცოდნენი იყვნენ: ადვილად არკვევდნენ ახლართულ-დახლართულ საკითხებს. ი.ინი შეკავშირებულნი იყვენ კაპიტალისტებთან, რომელთაგან წყალი მიჰქონდათ თავისა და თავის ცოლ-შვილისათვის. კითხავები ხალხს მუდამ კაპიტალისტების სახელით ელაპარაკებოდნენ, ვითარცა მათი წარმომადგენელნი, რადგან კაპიტალისტებს არც ჭკუა ჰქონდათ და არც მჭევრმეტყველების ნიჭი.

კაპიტალისტებმა სთხოვეს მკითხავებს აეხსნათ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ხალხი აღარ ყიდულობს წყალს, თუმცა აუზი სავსეა.

ერთმა მკითხავმა უპასუხა: „ეს—გადაჭარბებულ წარმოების ბრალიაო“. მეორემ: „ეს—მეტის წარმოების მიზეზიაო.“ მაგრამ ამ სიტყვების დედა-აზრი ერთი და იგივე იყო. ზოგი იმასაც ამბობდა: „ეს—მზის ლაქების ზედგავლენით მოხდაო“. სხვები უპასუხებდნენ: „არა, ეს არც ზედმეტ წარმოების ბრალია და არც მზის ლაქებისა, არამედ შედეგია იმისა, რომ ნდობა აღარ არისო“.

სანამ მკითხავები ჩვეულებისამებრ ერთმანეთს ეკამათებოდნენ, კაპიტალისტებს მთქნარება აუტყდათ და დაეძინათ. როცა გაეღვიძათ, შესძახეს მკითხავებს:

— კმარა! ჩვენ გატაცებულნი ვართ თქვენის სიტყვებით. ეხლა წადით ხალხში და შეეცადეთ, თქვენის სიტყვების ზედგავლენით, დაამშვიდოთ და ჩვენც მოგვასვენოთ.

მაგრამ მკითხავებს, ეგრედ წოდებულ „კუდიანებს“ — ზოგი მათგანი თვითონ უწოდებდა თავის თავს ამ სახელს — არ უყვარდათ ხალხში გამოჩენა, რადგან ცემისა ეშინოდათ: ხალხი მათ ცუდის თვალით უყურებდა. ამიტომ უპასუხეს კაპიტალისტებს:

— ბატონებო! ჩვენი ხელოვნების საიდუმლო ისეთია, რომ ჩვენ სიტყვებს აღტაცებაში მოჰყავს მარტოოდენ მაძღარნი და წყურვილმოკლულნი, აი, მაგალითად, თქვენისანები. მათ, რომელთაც წყურვილი და სიმშილი აწუხებთ, ჩვენი სიტყვების ძალა ვერ იმორჩილებს. მათ არც კი სურთ ჩვენი მოსმენა, რადგან კუჭ-ცარიელა ადამიანს ჩვენი მეცნიერება მარტოოდენ სიტყვების რახა-რუხად მიაჩნია.

მაგრამ კაპიტალისტები დაჟინებით გაიძახოდნენ:

— მაინც წადით. ნუ თუ თქვენ ჩვენი წარმომადგენელნი ალარა ხართ?

მკითხავებმა გასწიეს ხალხისაკენ, რათა აეხსნათ გადაჭარბებულ წარმოების საიდუმლო, აეხსნათ, რად მოხდა, რომ აუზი წყლით აივსო, რა მიზეზია, რომ ხალხს წყალი არა აქვს, როცა იგი ბევრია. ლაპარაკობდნენ აგრედვე მზის ლაქებზე და უნდობლობაზე, რომელიც მიზეზი იყო ყველა ამისა. მოხდა ის რასაც მოელოდნენ მკითხავები: მათი მეცნიერება ხალხმა სიტყვების რახა-რუხად მიიღო. იგი წყევა-კრულვით ეუბნებოდა მკითხავებს:

— ვაი თქვენ, ტვინ-დაობებულნო! დაგვცინით განა? ნუ თუ მოჭარბება შიმშილს ბადებს? ნუ თუ ბევრისაგან არაფერი გამოდის?

მკითხავები ჩაჭოლეს.

კაპიტალისტები ხედავდნენ, რომ უკმაყოფილება იზრდება, რომ ხალხი ყურს აღარ უგდებდა მკითხავებს.

იმის შიშით, რომ ხალხს ძალით არ დაეცალიერებინა აუზები, კაპიტალისტებმა გაგზავნეს ხალხში თავიანთი ცრუწინასწარმეტყველნი, რომელნიც ურჩევდენ ხალხს, წესიერება დაეცვა და აღარ შეეწუხებინა კაპიტალისტები. ცრუ წინასწარმეტყველნი უმტკიცებდნენ აგრედვე ხალხს, რომ ყველა ეს უბედურება მოავლინა ღმერთმა სულის საცხოვნებლად და თუ მორჩილებით აიტანენ ამას, უარს იტყვიან წყალზე, სიკვდილის შემდეგ გადაფრინდებიან სამყაროსა მას შინა, სადაც არ იქნებიან კაპიტალისტნი, წყალი კი მოევლინების უხვად.

იყვნენ აგრედვე გულწრფელი მოციქულები, რომელთაც მართლა აწუხებდათ ხალხის გაჭირვება და რომელნიც არა

ლაპარაკობდნენ კაპიტალისტთა სასარგებლოდ, პირიქით, ხშირად იმათ წინააღმდეგაც გაილაშქრებდნენ ხოლმე.

რა ნახეს კაპიტალისტებმა, რომ მკითხავებისა და ცრუ წინასწარმეტყველების რჩევა-დარიგებამ არ გასჭრა და ხალხი არ დამშვიდდა, თვითვე გასწიეს, დაისველეს თითის წვერები წყლით სავსე აუზში და რამდენიმე წვეთი აპკურეს გარშემოხვეულ ბრბოს. ეს წვეთები, რომელთაც კეთილისმყოფელობა უწოდეს, საშინლად მწარე იყო.

კაპიტალისტები დაბრუნდნენ, რომ ეს წვეთები მკითხავთა და ცრუმოციქულთა სიტყვებზე უკეთ ა-ა მოქმედებდა, პირიქით ხალხი თანდათან ბრაზდებოდა და ისე ირეოდა აუზის გარშემო, თითქო ძალით სურდა მისი დაცლაო.

მაშინ, ერთმანეთთან მოლაპარაკების შემდეგ, კაპიტალისტებმა გაჰგზავნეს თავიანთი მზვერავები, რომელნიც აგრეთვებდნენ უფრო ძლიერებს და სამხედრო საქმის მცოდნეებს, ცალკე გაჰყავდათ და ეუბნებოდნენ:

— რატომ კაპიტალისტებს არ დაუჭერთ მხარს? თქვენ რომ იმათ შეუერთდეთ და დაიცავთ მათი ინტერესები ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, საკმაოდ გექნებათ წყალი თქვენთვისაც და თქვენის ცოლშვილისთვისაც.

და ძლიერნი, სამხედრო საქმის მცოდნენი, მსწრაფლ დაემორჩილნენ მათ სიტყვებს, ვინაიდან წყურვილი არჩობდა ყველას.

მზვერავებთან ერთად მივიდენ ისინი კაპიტალისტებთან, რომელთაც დაურიგეს მათ შუბები და კეტები.

ასე და ამგვარად, ესენი კაპიტალისტთა მცველებად გადაიქცნენ და თავს ესხმოდნენ ხოლმე ყველას, ვინც გაჰბედავდა აუზთან ოდნავ მიახლოვებას.

რამდენისამე ხნის შემდეგ წყალი დაცოტავდა, რადგან კაპიტალისტებმა წყალი ტბებისა და შადრევნების მოწყობას მოანდომეს: ამით ისინი და მათი ცოლ-შვილი სტკბებოდა ხოლმე.

როდესაც კაპიტალისტებმა დაინახეს, რომ აუზში წყალმა იკლო, შესძახეს:—„კრიზისი გათავდაო!“ და ისევ დაიქირავეს ხალხი და დააწყებინეს წყლის ზიდვა აუზის ასავსებად. ყოველი მოტანილ ჩაფ წყალში აძლევდნენ ერთ ფულს, მაშინ როდესაც ერთ ჩაფ წყალში, რომელსაც ხალხს მიჰქონდა, ახდევინებდენენ ორ ფულს. განსხვავება შეადგენდა კაპიტალისტთა მოგებას.

აუზი კვლავ იკსებოდა.

ავსებდნენ აუზს, სანამ ნაპირს გადმოსცდებოდა. ხალხი კი წყურვილით ირჩობოდა იმ დრომდე, ვიდრე ზედმეტ წყალს კაპიტალისტები არ მოიხმარდნენ ხოლმე.

Შ. ᲓᲐᲓᲒᲘᲫᲔ.

(დასასრული იქნება)



სურათი ბარონ ნიკოვისა.

თანახმად ახალ დამატებით კანონებისა დღეიდან სურათები და კარიკატურები იბეჭდება მხოლოდ ცენზურის ნებართვით.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.

ელექტრონის ტიპაში წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲨᲠᲝᲛᲐ“—ᲡᲔᲚᲔᲥᲢᲝᲜᲘ № 372